

# სახაზინო სამსახურის

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2016 წლის იანვარ-თებერვლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 1 185 019.6 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 1 149 637.7 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 27 615.8 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 1 903.0 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 5 863.2 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-თებერვალში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (1149637.7 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (1 989 912.4 ათასი ლარი) 57.8%;

– გადასახადების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 869 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 088 190.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 58.2%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 739 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 185 589.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 25.1%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 443 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 160 953.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 36.3%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (24 635.5 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (296 000.0 ათასი ლარი) 8.3%;

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 1 106 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 647 024.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 58.5%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 891 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 498 712.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 56%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 148 311.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (215 000.0 ათასი ლარი) 69%-ია;

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 19 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 14 667.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 77.2%-ია;

„სხვა გადასახადების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 240 909.8 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 56 850.4 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 19 081.5 ათასი ლარი (რაც გეგმის 33.6%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 12 083.5 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 1 001.1 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 5 996.8 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 64 062.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 42 365.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 66.1%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები,

გრანტების გარდა 178.9 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-თებერვალში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (27 615.8 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (51 300.0 ათასი ლარი) 53.8%; მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (523.9 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (8 800.0 ათასი ლარი) 6%;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (27 091.8 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (42 500.0 ათასი ლარი) 63.7%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 10.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 2.2%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 27 081.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (42 000.0 ათასი ლარი) 64.5%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 1 903.0 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (4 800.0 ათასი ლარი) 39.6%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 1 903.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (4 800.0 ათასი ლარი) 39.6%.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 5 863.2 ათასი ლარი (რაც გეგმის – 102 666.6 ათასი ლარის 5.7%–ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – -55 843.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (-29 082.0 ათასი ლარი) 192%–ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 61 706.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (131 748.6 ათასი ლარი) 46.8%–ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 61 706.9 ლარი (რაც გეგმის – 96 748.6 ათასი ლარის 63.8%–ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის

ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 46 314.7 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 15 392.2 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 9 011.1 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-თებერვალში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 690.2 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 363.2 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 596.9 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;

– „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;

– „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 მარტისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 381 172.5 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 381 141.7 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 30.8 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად (სულ 228 919.0 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 241 190.7 ათასი ლარი.

## **სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

2016 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 1 149 637.7 ათასი ლარის მოცულობით (პირველი კვარტლის გეგმა 1 989 912.4 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 1 223 542.8 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 2 036 878.9 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა -73 905.1 ათასი ლარი (უარყოფითი), პირველი კვარტლის გეგმა -46 966.5 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 36 394.0 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 27 615.8 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 64 009.7 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -110 299.0 ათასი ლარი (უარყოფითი), პირველი კვარტლის გეგმა -116 702.9 ათასი ლარი(უარყოფითი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 2 378 298.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 2 249 199.8 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 129 099.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 1 846 588.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 426 210.3 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 1 347 619.1 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 78 591.1 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 77.2%, ხოლო გეგმის 60%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-თებერვლის მთლიან ხარჯებში შეადგინა 94.5%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 5.5%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-თებერვალში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 358 112.9 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 317 366.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ

და გადახდამ შეადგინა 226 161.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 71.3%-ს და საგემო მაჩვენებლის 63.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 266 038.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 174 667.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 136 111.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 77.9%-ს და საგემო მაჩვენებლის 51.2%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 113 613.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 89 073.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 73 668.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 64.8% და ვალდებულების 82.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 52 250.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (66 701.0 ათასი ლარი) 78.3%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 21 418.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (22 372.7 ათასი ლარი) 95.7%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 75 922.0 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 48 470.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 42 054.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 86.8%-ს და გეგმის 55.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 12 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8 829.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 73.6% და ვალდებულების ( 10 601.1 ათასი ლარი) 83.3%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 198 729.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 118 202.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (122 137.8 ათასი ლარი) 96.8% და საგემო მაჩვენებლის 59.5%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-თებერვალში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 111 373.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (115 102.8 ათასი ლარი) 96.8%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-თებერვალში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 501 209.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (666 797.1 ათასი ლარი) 75.2% და საგემო პარამეტრის (756 304.4 ათასი ლარი) 66.3%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 537 774.1 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 352 695.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 65.6%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 245 225.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (368 880.0 ათასი ლარი) და გეგმის 66.5%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 163 822.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 105 070.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 64.1% და ვალდებულების (139 274.0 ათასი ლარი) 75.4%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 205 487.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 140 073.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 68.2% და ვალდებულების (144 499.5 ათასი ლარი) 96.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 268 158.1 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 203 826.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 126 135.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 61.9%-ს და გეგმის 47%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 117 875.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 78 567.1 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 66.7%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 9 000.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 9 000.0 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (3 000.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 33.3%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 121 036.4 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 66 716.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 64 009.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.9%-ს და გეგმის 52.9%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 50 075.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 22 529.1 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (22 262.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.8% და საგეგმო მაჩვენებლის – 44.5%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 93 091.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 61 721.1 ათასი



ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 51 018.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 82.7%-ს და გეგმის – 54.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 15 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 53.3%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 127 292.5 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 95 811.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 87 639.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.5%-ს და გეგმის 68.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 78 751.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (80 904.4 ათასი ლარი) 97.3%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 8 887.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (14 906.7 ათასი ლარი) 59.6%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 2 920.7 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 2 384.5 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა“ – 106.2 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 430.0 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი

მარტისთვის შეადგინა 302.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

## **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში**

2016 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 1 287 552.5 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 248 537.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (424 115.9 ათასი ლარი) 58.6%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 54 143.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (105 866.2 ათასი ლარი) 51.1% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 21.8%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 73 609.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (113 554.0 ათასი ლარი) 64.8% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 29.6%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 171 927.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 116 758.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 67.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (1 287 552.5 ათასი ლარი) 9.1%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 251 210.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 139 652.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 55.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 80 264.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (137 855.9 ათასი ლარი) 58.2%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (14 134.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (27667.0 ათასი ლარი) 51.1%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 17 521.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 907.0 ათასი ლარი) 53.2%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 174 114.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 86 071.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 49.4%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (9 362.0 ათასი

ლარი) შეადგინა გეგმის (16 747.5 ათასი ლარი) 55.9%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (21 957.9 ათასი ლარი), გეგმის (44 904.0 ათასი ლარი) 48.9% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 79 397.6 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 41 391.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 52.1%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 9 925.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 537.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.9%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 11 424.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 197.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 54.2%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 7 059.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 3 614.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 51.2%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 235 568.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 153 637.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.9%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 172 073.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (122 533.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 71.2%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (21 268.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (34 113.4 ათასი ლარი) 62.3%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 3 764.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (15 490.7 ათასი ლარი) 24.3%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 28 541.2 ათასი ლარით, რაც 2016 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის (56 887.0 ათასი ლარი) 50.2%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 13 079.8 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (8 147.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 62.3%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 247 859.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 122 886.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 49.6% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.5%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 79 179.3 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (119 638.0 ათასი ლარი) 66.2%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 7 498.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (38 957.7 ათასი ლარი) 19.2%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 574 880.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 378 731.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 29.4%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 368 973.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 245 291.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 66.5%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 106 579.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (166 620.5 ათასი ლარი) 64.0%-ია.

## **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ცხრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 905.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 293.7 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით შეადგინა 611.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ცხრა შემთხვევაში შეადგინა სულ 1 761.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 422.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 მარტისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 338.9 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორ შემთხვევაში შეადგინა სულ 5 322.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 122.9 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 მარტისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 199.4 ათასი ლარი.

## **წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა**

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 32 729.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 32 869.5 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 5 000.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 4 993.4 ათასი ლარი (საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27 000.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 294.9 ათასი ლარი. აქედან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს: წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 93.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 93.5 ათასი ლარი), სხვა ხარჯების მუხლით კი 24 948.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 24 948.0 ათასი ლარი).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებშიც) (გეგმა – 729.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 539.8 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 1 294.9 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2016 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.